ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ბათუმის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ[1]

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ია ფანცულაია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო

წევრები:

ილია ბოცვაძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

თბილისი

2022

[1] შენიშვნა: მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი აფასებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობას რელევანტურ სტანდარტთან/სტანდარტებთან და/ან სტანდარტის კომპონენტთან/კომპონენტებთან

ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

სახელწოდება	ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ბათუმი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შპს
სახე	სასწავლო უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი	445434888
ძირითადი მისამართი (ქუჩა, N, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	ფრიდონ ხალვაშის ქ. N237, ბათუმი, საქართველო
ვებ-გვერდი	www.bauinternational.edu.ge
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	
გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი	24.06.2021, N689586
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	24.06.2026

რაოდენობრივი მაჩვენებლები

პროგრამები[2]

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	2
ბაკალავრიატი	
მაგისტრატურა	
ერთსაფეხურიანი	2
დოქტორანტურა	
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	
ქართულ ენაში მომზადების	
აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა	2
საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებული პროგრამების რაოდენობა	
ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა[3]	
გაცვლითი პროგრამების რაოდენობა	

სტუდენტები

სტუდენტების არსებული ზღვრული რაოდენობა			
	აქტიური	შეჩერებული	პროგრამის დასრულების მაჩვენებელი
სულ სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა	118	127	2
ბაკალავრიატი			
მაგისტრატურა			
ერთსაფეხურიანი	118	127	2
დოქტორანტურა			
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)			
ქართულ ენაში მომზადების პროგრამა			

[2] იხ. დანართი №1 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, რომელსაც ახორციელებს დაწესებულება

[3] იგულისხმება მხოლოდ ის ერთობლივი პროგრამები, რომელთა განსაზღვრება მოცემულია ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის 3[48] პუნქტში

უცხოელი სტუდენტების რაოდენობა	99	126	2
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რაოდენობა	-	-	-

პერსონალი

მონაცემები უსდ-ში დასაქმებული პერსონალის შესახებ	
უსდ-ში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი)	209
სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა	22
- პროფესორი	6
- ასოცირებული პროფესორი	6
- ასისტენტ პროფესორი	5
- ასისტენტი	5
სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა	3
- მეცნიერი	3
- პოსტდოქტორანტი	
სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა	19
- აფილირებული პროფესორი	6
- აფილირებული ასოცირებული პროფესორი	3
- აფილირებული ასისტენტ პროფესორი	5
- აფილირებული ასისტენტი	5
სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	9/4
კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	4
სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი	158
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	29

შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	3027
დაწესებულების საერთო სასწავლო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	1800
დაწესებულების საერთო დამხმარე ფართის ოდენობა კვ.მ-ში	1227

მოკლედ აღწერეთ ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის ვიზიტი

<table>
<tr><td colspan="2">აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი:

შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ბათუმის მიერ 2022 წლის 30 ივნისის№BAU-OC249 წერილით (ცენტრში რეგისტრაციის - №739211, 30/06/2022) წარმოდგენილი იქნა ავტორიზაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიში და მასზე თანდართული დოკუმენტაცია. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების (MES 9 22 0000953193, 26.08.2022) თანახმად ექსპერტთა ჯგუფმა ია ფანცულაიას (თავმჯდომარე) და ილია ბოცვაძის (წევრი) მონაწილეობით მოახდინა ბაუ ინთერნაშიონალ უნივერსითი - ბათუმის მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა დისტანციურად და მოამზადა დასკვნა. ექსპერტთა მიერ დადგენილი იქნა, რომ სასწავლო უნივერსიტეტმა გაითვალისწინა ყველა რეკომენდაცია და შეიტანა.</td></tr>
<tr><td colspan="2">მონიშნეთ რას უკავშირდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წინა შეფასება, რომლის ფარგლებშიც გაიცა რეკომენდაციები:

☒ ავტორიზაციის მოპოვების მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: __15.02.2022_____

☐ სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☐ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☐ შეფასება ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში
შეფასების განხორციელების თარიღი: _____</td></tr>
<tr><td>უსდ-სათვის ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები (მიუთითეთ სტანდარტი/სტანდარტის კომპონენტი და შესაბამისი რეკომენდაცია):</td><td>აღწერეთ რამდენად იქნა გათვალისწინებული უსდ-ს მიერ წინა შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაცია და რჩება თუ არა გასაუმჯობესებელი მხარეები სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით:</td></tr>
<tr><td>2.1
„ბაუს“ მენეჯმენტის მცირე კონტროლთან დაკავშირებული რისკი უნდა მოგვარდეს: პროფესიულ განყოფილებებს უნდა ჰქონდეთ მეტი ავტონომია ამჟამინდელი მენეჯმენტისგან (რომელსაც წარმოადგენს რექტორი, პრორექტორი, დეკანი და ადმინისტრაციის უფროსი).</td><td>შესრულებულია;
თითოეული სტრუქტურული ერთეულისთვის შემუშავდა პროცესების რუკა, რომელიც განსაზღვრავს დეპარტამენტის ექსკლუზიურ მიკუთვნებულ უფლებამოსილებას;
ISO 9001 სტანდარტის პირობების შესრულების მიზნით 2022 წლის მაისში მასერტიფიცირებელი ორგანოს ექსპერტების მიერ განხორციელდა ყოველწლიური გეგმური აუდიტი;
სასწავლო უნივერსიტეტის მმართველობით</td></tr>
</table>

	სტრუქტურაში განხორციელდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც შინაარსობრივად კორპორაციულ-აღმასრულებელი ფუნქცია მიენიჭა ახალ ორგანიზაციულ-სტრუქტურულ ერთეულს დირექტორს; განხორციელდა ვიცე-რექტორის კომპეტენციათა რევიზია; გაიმიჯნა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და ვიცე-რექტორის კომპეტენციები; სასწავლო უნივერსიტეტში მოდიფიცირდა გამოცდების ჩატარების წესი.
2.1 აუცილებელია თვითშეფასების დოკუმენტში განსაზღვრული არჩევის/დანიშვნის პროცესის დაცვა.	შესრულებულია; სასწავლო უნივერსიტეტმა წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის სრული დაცვით შესრულებული მოწვეული პერსონალის სამსახურში აყვანის შესაბამისი ოქმები.
2.1 უნივერსიტეტის წესდებებში მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული, თუ რას წარმოადგენს აკადემიური საბჭო და რა პასუხისმგებლობა ეკისრება მას, ასევე, რა ურთიერთობა არსებობს რექტორს, პრორექტორსა და პარტნიორთა საბჭოს (დამფინანსებლებს) შორის.	შესრულებულია; სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული მმართველობითი სტრუქტურის ცვლილება, კერძოდ, დირექტორის პოზიციის დამატება, ცვლის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების აღსრულების მექანიზმს, თუმცა უცვლელად რჩება მისი მიღების წესი. სასწავლო უნივერსიტეტის მთავარ დებულებაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, დაზუსტდა რომ ვიცე-რექტორი არ წარმოადგენს აკადემიური საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებულ პირს და იგი მოქმედებს რექტორის მიერ დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში. აკადემიურ საბჭოსა და პარტნიორთა შორის თანამშრომლობისა და პასუხისმგებლობის საკითხები პარტნიორთა მხრიდან აღმასრულებელ მმართველობით პოზიციებზე (რექტორი/დირექტორი) კანდიდატურის შერჩევისას კონსულტაციებით შემოიფარგლება.
2.2 სტუდენტების რაოდენობის გაზრდის მიზნით, „ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტმა, ბათუმმა“ უნდა შეიმუშავოს სწავლების გეგმა და სტუდენტთა მხარდაჭერის ფორმა, რითიც აჩვენებს, თუ როგორ შეძლებენ ამჟამინდელი პერსონალი, უნივერსიტეტის შენობა და კლინიკები გაზრდილი რაოდენობის დაკმაყოფილებას	შესრულებულია; სასწავლო უნივერსიტეტმა მოახერხა ადამიანური, კლინიკური და მატერიალური რესურსების გაზრდა.

3.2 განახლდეს პერიოდონტოლოგიის სილაბუსი; შემუშავდეს „ჰენდაუთები“. რეკომენდაციის შესრულების	შესრულებულია. განახლებულია სილაბუსები
3.3 უნდა განხორციელდეს სტუდენტების პროგრესირებისა და შენარჩუნების მართვის, მხარდაჭერისა და მონიტორინგის პროცესი, რათა შემცირდეს შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობა	შესრულებულია; სასწავლო უნივერსიტეტმა ჩაატარა კვლევა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და კვლევის შედეგებზე დაყრდნობით წარმოადგინა პრობლემაზე რეაგირების მექანიზმები.
4.1 ექსპერტთა ჯგუფი იძლევა რეკომენდაციას, რომ „ბაუმ“ შეადგინოს გეგმა, რომელშიც განსაზღვრული იქნება პერსონალის ყოფნა შენობაში პანდემიის შემდეგ. ამით უზრუნველყოფილი იქნება აკადემიური პერსონალის საკმარისი რაოდენობა სტუდენტებისთვის სწავლებისა და სწავლის პროცესის ჩასატარებლად.	შესრულებულია, უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულია სხვადასხვა კატეგორიის აკადემიური პერსონალის საკონტაქტო საათებისთვის 70%, რაც უზრუნველყოფს მათ ყოფნას უშუალოდ შენობაში.
5.1 მიზანშეწონილია უსდ-მ განახორციელოს შემდგომი გამოკვლევა იმის უზრუნველსაყოფად, რომ უნივერსიტეტი აკეთებდეს ყველაფერს იმისთვის, რომ დაეხმაროს და მკაფიო ხედვა ჩამოაყალიბოს ამ რიცხვის შესამცირებლად.	შესრულებულია. სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ჩატარებულია კვლევა და გამოყოფილია 3 ძირითადი მიმართულება, რაც განაპირობებს სტატუსის შეჩერებას, ასევე შემუშავებულია გარკვეული სტრატეგია სტატუსშეჩერებული სტუდენტების რაოდენობის შესამცირებლად
5.2.1 უნივერსიტეტმა უნდა განიხილოს სტუდენტთა მომსახურების სამსახურის პერსონალის გაზრდა სტუდენტების რაოდენობის ზრდასთან შესაბამისად.	შესრულებულია. დამატებით საანგარიშო პერიოდში აყვანილია 5 პერსონალი სტუდენტთა მომსახურების გასაუმჯობესებლად და მომავალშიც იგეგმება გაზრდა.
5.2.2 უნივერსიტეტმა უნდა განამტკიცოს და გაზარდოს საერთაშორისო კავშირები. მან უნდა შექმნას სტუდენტთა საერთაშორისო მობილობისა და პროექტებსა და კონფერენციებში მონაწილეობის მეტი შესაძლებლობა უნივერსიტეტის გარეთ.	შესრულებულია. სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილია ერასმუსის პროექტებში მონაწილეობის მეტი შესაძლებლობები და სტუდენტთა გაცვლის შესაძლებლობები.
6.1.1 საჭიროა შემუშავდეს კვლევის სტრატეგია, რომლის ფარგლებშიც განსაზღვრული იქნება მკაფიო, რეალისტური გეგმები და რესურსები;	შესრულებულია, ჩამოყალიბებულია სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის სტრატეგია, სადაც განსაზღვრულია კვლევითი მიმართულებები და გაწერილია სამოქმედო გეგმა 2020-2022წლებისთვის.
6.1.2 საჭიროა ბაუს უნივერსიტეტის თანამშრომელთა კვლევითი პროფილის გაზრდა;	შესრულებულია. სასწავლო უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის შედეგად საანგარიშო პერიოდში 2021-2022

	სასწავლო წლის განმავლობაში ბაუს აკადემიური პერსონალის მიერ გამოქვეყნებული იქნა 11 სამეცნიერო პუბლიკაცია და პერსონალმა მონაწილეობა მიიღო 2 საერთაშორისო კონფერენციაში.
6.1.3 შეიმუშავეთ ინტენსიური კვლევითი პერსონალის ბაუში მოზიდვის მკაფიო გეგმა;	შესრულებულია როგორც ვებსაიტი და თანდართული დოკუმენტაცია გვიჩვენებს სასწავლო უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობს კვლევითი პერსონალის რაოდენობის გაზრდის მიმართულებით, რაც ასახულია „სამეცნიერო კვლევების განვითარების სტრატეგია“-ში.
6.1.4 გაზარდეთ ბაუს უნივერსიტეტის კვლევითი ლაბორატორიის საქმიანობა და ობიექტები.	შესრულებულია სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშიდან ჩანს, რომ უნივერსიტეტს გააჩნია 7 სასწავლო-კვლევითი ლაბორატორია (მიკრობიოლოგიისა და იმუნოლოგიის, ფარმაკო-გენეტიკის, ციტოლოგიისა და ჰისტოლოგიის, ბიოქიმიისა და მოლეკულური გენეტიკის), რომელიც აღჭურვილია შესაბამისი თანამედროვე აპარატურით, სადაც მიმდინარეობს 6 სამეცნიერო პროექტი.
6.2.1 „ბაუმ“ უნდა დაასაქმოს პირები, რომლებსაც აქვთ საჭირო კვლევითი გამოცდილება და ცოდნა უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის წარმართვისთვის.	შესრულებულია. სასწავლო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულია კონკურსის გამოცხადებისას საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც ითვალისწინებს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გამოცდილებასა და კვლევითი პროდუქტიულობის ხარისხის შეფასებას.
6.2.2 საჭიროა პრიორიტეტული იყოს პერსონალის განვითარება და კვლევის მხარდაჭერა.	შესრულებულია. სასწავლო უნივერსიტეტის ერთ-ერთი მიზანია პერსონალის განვითარება და კვლევის მხარდაჭერა, რაც გაწერილია კვლევის სტრატეგიაში. სასწავლო უნივერსიტეტი საკუთარი სახსრებით აფინანსებს სამეცნიერო კვლევებს, პერსონალის საგანმანათლებლო საქმიანობაში მონაწილეობასა და სხვა საერთაშორისო/ეროვნულ სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზებას.
6.2.3 საჭიროა მკაფიოდ განისაზღვროს ახალი, აქტიური კვლევითი პერსონალის „ბაუში“ მოზიდვის სპეციალური მექანიზმები და შესრულდეს ამის განხორციელებისა და შეფასების გეგმა.	შესრულებულია როგორც ვებსაიტი და თანდართული დოკუმენტაცია გვიჩვენებს სასწავლო უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობს კვლევითი პერსონალის რაოდენობის გაზრდის მიმართულებით, რაც ასახულია

	„სამეცნიერო კვლევების განვითარების სტრატეგია“-ში.
6.3 „ბაუს“ უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშავოს უფრო მკაფიო და მიზანმიმართული ძირითადი შესრულების ინდიკატორები (KPI), კვლევისა და შესაძლებლობების ზრდის მონიტორინგის მიზნით.	შესრულებულია. სასწავლო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულია სამეცნიერო კვლევების განვითარების სტრატგია და წარმოდგენილია გეგმის, სამიზნე ნიშნულებისა და ინდიკატორების მიხედვით.
7.1 სტუდენტების რაოდენობის გაზრდამდე, საჭიროა განისაზღვროს გეგმა იმის შესახებ, თუ როგორ მოხდება უნივერსიტეტის შენობის ადაპტირება.	შესრულებულია. უნივერისტეტის მიერ წარმოდგენილია შენობის ნახაზები, სადაც დამატებულია აუდიტორიები და ლაბორატორიები.
7.2.1 საჭიროა ბიბლიოთეკაში არსებული რესურსების გაზრდა სტუდენტთა რაოდენობის ზრდასთან ერთად.	შესრულებულია უნივერსიტეტის მიერ სტუდენტების რაოდენობის შესაძლო ზრდისთვის ბიბლიოთეკის მიმდებარედ მოწყობილია 90კვ.მ სივრცე და აღჭურვილია კომპიუტერებით
7.2.2 უნდა გაიზარდოს კომპიუტერების რაოდენობა და სტუდენტების დამოუკიდებელი სწავლის სივრცე.	შესრულებულია უნივერსიტეტის მიერ შეძენილია დამატებით 15 კომპიუტერი და გამოყოფილია 90კვ.მე სივრცე სტუდენტების დამოუკიდებლად სამუშაოდ.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

სტანდარტი 2 - სრულად შესაბამისია
სტანდარტი 3 - სრულად შესაბამისია
სტანდარტი 4 - სრულად შესაბამისია
სტანდარტი 5 - სრულად შესაბამისია
სტანდარტი 6 - სრულად შესაბამისია
სტანდარტი 7 - სრულად შესაბამისია

რეკომენდაციები

რჩევები

სასურველია უნივერსიტეტმა განიხილოს მოწვეული პერსონალის გამონაკლისის წესის სახით სამსახურში აყვანის წესის გაუქმება.
სასურველია სამომავლოდ აფილირებული აკადემიური პერსონალის გაზრდა მდგრადობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.
სასურველია ბაუში პერსონალის მოზიდვის გეგმა გაწერილი იყოს ცალკე დოკუმენტად.

საუკეთესო პრაქტიკა

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება		☐	☐	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☐	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☐	☐	☐	☐
2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა		☒	☐	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☒	☐	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☒	☐	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☒	☐	☐	☐
3. საგანმანათლებლო პროგრამები		☒	☐	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☒	☐	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☒	☐	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☒	☐	☐	☐
4. უსდ-ის პერსონალი		☐	☐	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☒	☐	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☐	☐	☐	☐
5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები		☒	☐	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☒	☐	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒	☐	☐	☐
6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა		☒	☐	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☒	☐	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☒	☐	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☒	☐	☐	☐
7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები		☒	☐	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☒	☐	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☒	☐	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☐	☐	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☐	☐	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. ია ფანცულაია (თავმჯდომარე) ი. ფანცულაია

2. ილია ბოცვაძე (წევრი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს როგორ იქნა გათვალისწინებული უნივერსიტეტის მიერ ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები[4]; ანალიზში ასევე უნდა აისახოს რჩება თუ არა პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობისას).
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 სტრატეგიული განვითარება
○ უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი). ○ უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას. ○ უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების

[4] ეს რეკომენდაციები შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ავტორიზაციის, სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდის, საგანმანათლებლო პროგრამის დამატების და/ან ავტორიზაციის პირობების შემოწმების მიზნით განხორციელებულ ბოლო შეფასებასთან.

მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს როგორ იქნა გათვალისწინებული უნივერსიტეტის მიერ ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები; ანალიზში ასევე უნდა აისახოს რჩება თუ არა პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები,ინტერვიუს შედეგები და სხვა).
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
○ უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას. ○ უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: 2.1.1 რეკომენდაცია: „ბაუს“ მენეჯმენტის მცირე კონტროლთან დაკავშირებული რისკი უნდა მოგვარდეს: პროფესიულ განყოფილებებს უნდა ჰქონდეთ მეტი ავტონომია ამჟამინდელი მენეჯმენტისგან (რომელსაც წარმოადგენს რექტორი, პრორექტორი, დეკანი და ადმინისტრაციის უფროსი).

წარმოდგენილი ანგარიშსა და დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, უნივერსიტეტის მიერ რეკომენდაცია შესრულებულია.

უნივერსიტეტში დაინერგა მართვის ძირითადი პროცესების რუკა და ძირითადი პროცესებიდან გამომდინარე დამხმარე პროცესების რუკა. თითოეული სტრუქტურული ერთეულისთვის შემუშავდა პროცესების რუკა, რომელიც განსაზღრავს დეპარტამენტის ექსკლუზიურ მიკუთვნებულ უფლებამოსილებას, სხვა სტრუქტურული ერთეულ(ებ)ის ჩართულობით განსახორციელებელ თუ შეთანხმებას დაქვემდებარებული პროცესებით, როგორც ორგანიზაციის შიდა, ასე გარე დაინტერესებული მხარეებისმიმართ.

ISO 9001 სტანდარტის პირობების შესრულების მიზნით 2022 წლის მაისში მასერტიფიცირებელი ორგანოს ექსპერტების მიერ განხორციელდა ყოველწლიური გეგმური აუდიტი. აუდიტის მიერ შემოწმების აქტში დადებითად იქნა შეფასებული უნივერსიტეტის მიერ მართვის პროცესებისადმი მიდგომის დანერგვა, კერძოდ, დადებითად შეფასდა პროცესების ძირითადი და დამხმარე რუკების შექმნა და ამ რუკების დანერგვის შედეგად გამოვლენილ ხარვეზებზე სასწავლო უნივერსიტეტის დროული რეაგირება.

მმართველობითი პროცესების ანალიზის შედეგად, სასწავლო უნივერსიტეტის მმართველობით პროცესებში გამოიკვეთა კორპორაციული ხელმძღვანელობით-წარმომადგენლობითი და საგანმანათლებლო სამეცნიერო-კვლევითი ხელმძღვანელობის უფლებამოსილებათა გამიჯვნის აუცილებლობა. აღნიშნული საჭიროებიდან გამომდინარე, სასწავლო უნივერსიტეტის მმართველობით სტრუქტურაში განხორციელდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც შინაარსობრივად კორპორაციულ-აღმასრულებელი ფუნქცია მიენიჭა ახალ ორგანიზაციულ-სტრუქტურულ ერთეულს - დირექტორს, ამავდროულად, რექტორს მიენიჭა სრული ავტონომია უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილება. დირექტორის კომპეტენციას განეკუთვნება კომერციული შინაარსის გარიგებების მოლაპარაკება და გაფორმება, საზოგადოების წარმომადგენლობა სასამართლოში და სახელმწიფო უწყებებთან ურთიერთობაში, ბანკებთან და სხვა ფინანსურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის უზრუნველყოფა; იგი ახორციელებს სასწავლო უნივერსიტეტის ფინანსური საქმიანობის ორგანიზებას, რაც ერთის მხრივ, ამცირებს საზოგადოების პარტნიორთა წინაშე რექტორის კორპორაციული პასუხისმგებლობის წნეხს, ზრდის მისი მოქმედების თავისუფლების ხარისხს და გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს მის მიერ საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სტრატეგიული დაგეგმარებისა და აღსრულების მიმართ.

წინამდებარე ცვლილებებიდან გამომდინარე, განხორციელდა ვიცე-რექტორის კომპეტენციათა რევიზია, რექტორის მიერ დელეგირებული უფლებამოსილების დაკონკრეტება და ანგარიშვალდებულების საკითხის კორექტირება. ვიცე-რექტორის ფუნქცია-მოვალეობიდან გამოიყო ფინანსური ადმინისტრირების საკითხები, რამაც დააკონკრეტა მისი სტრატეგიული განვითარების საკითხში ჩართულობა.

ასევე, გაიმიჯნა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და ვიცე-რექტორის კომპეტენციები, რითიც გამოირიცხა ამ ორ ორგანიზაციულ-სტრუქტურულ ერთეულს შორის უფლებამოსილებათა გადაფარვა, კერძოდ, ვიცე-რექტორის კომპეტენციიდან გამოვიდა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კომპეტენციად განისაზღვრა სასწავლო გეგმისა და სწავლების პროცესის სახელმწიფო და შიდა ინსტიტუციურ, აგრეთვე საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან და ხარისხის განვითარების საერთო ციკლთან შესაბამისობის უზრუნველყოფა და ზოგადად, ხარისხის სისტემის განვითარება, რაც მეტი ფუნქციური დამოუკიდებლობის დელეგირებას ზედა რგოლებიდან ოპერაციული რგოლებისკენ მოიაზრებს.

ასევე, სასწავლო უნივერსიტეტში მოდიფიცირდა გამოცდების ჩატარების წესი, რომლის განახლებული რედაქციითაც გამოცდებთან დაკავშირებული საკვანძო გადაწყვეტილებების (გამოცდებთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრა, აპელაცია, მისი დაკმაყოფილების ან

უარყოფის შედეგები და სხვა) მიღების უფლებამოსილება მიენიჭა საგამოცდო ცენტრს. წინა რედაქციით, გადაწყვეტილება გამოცდის აპელაციის შესახებ მიიღებოდა სკოლის მიერ, სკოლის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრებულიყო ვიცე-რექტორთან და შემდგომ რექტორთან, რაც წარმოშობდა რთულ ბიოროკრატიულ მექანიზმს. განახლებული რედაქციით, პროცედურული ხასიათის გადაწყვეტილებას იღებს საგამოცდო ცენტრი ერთპიროვნულად, ხოლო შინარსობრივად რთულ საკითხებზე მოიწვევა დამოუკიდებელი სააპელაციო კომისია, პროფესურისა და სტუდენტების მონაწილეობით, რაც საკითხის ობიექტურად და მიუკერძოებლად შესწავლას განაპირობებს.

ზემოაღნიშნული ცვლილებები ხელს უწყობს სასწავლო უნივერსიტეტის სხვადასხვა სამსახურების ავტონომიას, მათი საქმიანობის მეტ გამჭვირვალეობას და შესრულებული სამუშაოს მაღალ შედეგიანობას.

2.1.2 რეკომენდაცია: აუცილებელია თვითშეფასების დოკუმენტში განსაზღვრული არჩევის/დანიშვნის პროცესის დაცვა.

წარმოდგენილი ანგარიშსა და დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, უნივერსიტეტის მიერ რეკომენდაცია შესრულებულია.

სასწავლო უნივერსიტეტის ადამინური რესურსების მართვის პოლიტიკაში აღწერილია მოწვეული პერსონალის სამსახურში მიღების წესი. კერძოდ, მოწვეული პერსონალის სამსახურში მიღება ხორციელდება ღია კონკურსის საფუძველზე ან გამონაკლის შემთხვევაში, პირდაპირი შერჩევით რექტორის ბრძანებით განსაზღვრული მოწვეული პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც საჭიროებიდან გამომდინარე ფაკულტეტის დეკანი უფლებამოსილია კონკურსის გარეშე წარუდგინოს რექტორს მოწვეული პედაგოგის კანდიდატი. საკვალიფიკაციო მოთხოვნების არსებულ ვაკანსიასთან შესაბამისობაში დადგენის შემთხვევაში რექტორი გამოსცემს ბრძანებას აღნიშნული პედაგოგის სრულ შტატზე ან საათობრივი ანაზაღაურების წესით მოწვევის თაობაზე, რის შემდეგაც მოწვეულ პედაგოგთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება; ხოლო პირდაპირი გზით შერჩეული კანდიდატი გადის კონკურსით შერჩეული კანდიდატის მსგავს ეტაპებს არაუგვიანეს ერთი სემესტრის ვადაში.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით ავტორიზაციის ექსპერტები აღნიშნავენ შემდეგს: „აკადემიურ პერსონალთან ვიზიტის დროს, ზოგიერთმა თანამშრომელმა თქვა, რომ მათ მხოლოდ CV და საკუთარი გამოცდილების შესახებ განცხადება წარადგინეს, ხოლო დანარჩენებს თანამდებობის დაკავებისთვის ღია კონკურსში მონაწილეობა მოუწიათ“.

თუმცა სასწავლო უნივერსიტემა წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის სრული დაცვით შესრულებული მოწვეული პერსონალის სამსახურში აყვანის შესაბამისი ოქმები, რაც ვფიქრობთ ადასტურებს სასწავლო დაწესებულების მიერ რეკომენდაციის შესრულებას.

თუმცა აღნიშნულ საკითხთან სამომავლო სირთულეების თავიდან აცილების მიზნით სასურველია უნივერსიტეტმა განიხილოს მოწვეული პერსონალის გამონაკლისის წესის სახით სამსახურში აყვანის წესის გაუქმება.

2.1.3 რეკომენდაცია: უნივერსიტეტის წესდებებში მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული, თუ რას წარმოადგენს აკადემიური საბჭო და რა პასუხისმგებლობა ეკისრება მას, ასევე, რა ურთიერთობა არსებობს რექტორს, პრორექტორსა და პარტნიორთა საბჭოს (დამფინანსებლებს) შორის.

წარმოდგენილი ანგარიშსა და დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, უნივერსიტეტის მიერ რეკომენდაცია შესრულებულია.

სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო კოლეგიური ორგანოა, რომელშიც ყველაზე მეტად

არის წარმოდგენილი აკადემიური საქმიანობის მენეჯმენტი. მის საქმიანობაში ფართოდ არიან ჩართული უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და სტუდენტები. საბჭოში შედიან აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე - რექტორი, სასწავლო უნივერსიტეტის ყველა პროფესორი და ასოცირებული პროფესორი, აგრეთვე სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი. აკადემიური საბჭოს როლები და პასუხისმგებლობები კარგად არის ჩამოყალიბებული და გაწერილი. ყველა წევრს აქვს ხმის მიცემის უფლება და გადაწყვეტილებები მიიღება ხმათა უმრავლესობით.

თუმცა ავტორიზაციის ექსპერტები თავიანთ დასკვნაში ყურადღებას ამახვილებენ ფინანსური საკითხების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას რექტორის უპირატესიბაზე საბჭოსთან მიმართებით; აღნიშნულთან დაკავშირებით სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული მმართველობითი სტრუქტურის ცვლილება, კერძოდ, დირექტორის პოზიციის დამატება, ცვლის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების აღსრულების მექანიზმს, თუმცა უცვლელად რჩება მისი მიღების წესი. აკადემიური საბჭო სრულიად დამოუკიდებელია განსახილველი საკითხების განსაზღვრისა და მათზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. რაც შეეხება, გადაწყვეტილებებს, რომლებიც ეხება ფინანსურ საკითხებს, აკადემიურ საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში, თუმცა საჭიროების შემთხვევაში იგი უფლებამოსილია გადაწყვეტილებები მიიღოს ისეთ საკითხებთან დაკავშირებითაც, რომელიც არ არის ბიუჯეტით გათვალისწინებული, ხოლო მისი აღსრულების კორპორაციულ-სამართლებრივ უზრუნველყოფას ახორციელებს დირექტორი. გასათვალისწინებელია, რომ აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებების დირექტორისათვის ფორმალურ წარდგინებას ახორციელებს რექტორი.

რაც შეეხება ვიცე-რექტორს, ის შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს აკადემიურ საბჭოზე რექტორის მიერ მისთვის დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, აგრეთვე, კონკრეტული საკითხის განსახილველად საბჭოს მოწვევით. სასწავლო უნივერსიტეტის მთავარ დებულებაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, დაზუსტდა რომ ვიცე-რექტორი არ წარმოადგენს აკადემიური საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებულ პირს და იგი მოქმედებს რექტორის მიერ დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში.

აკადემიურ საბჭოსა და პარტნიორთა შორის თანამშრომლობისა და პასუხისმგებლობის საკითხები პარტნიორთა მხრიდან აღმასრულებელ მმართველობით პოზიციებზე (რექტორი/დირექტორი) კანდიდატურის შერჩევისას კონსულტაციებით შემოიფარგლება, რაც განსაზღვრულია სასწავლო უნივერსიტეტის შიდა ნორმატიული აქტებით. კერძოდ, აკადემიური საბჭო განიხილავს შესაბამის პოზიციებზე წარმოდგენილი კანდიდატურის ხედვასა და სამოქმედო გეგმას, რასთან დაკავშირებითაც თავის დასკვნას უზიარებს პარტნიორთა საბჭოს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სასწავლო უნივერსიტეტის წესდება
- სასწავლო უნივერსიტეტის მთავარი დებულება
- სასწავლო უნივერსიტეტის პროცესების რუქები
- სასწავლო უნივერსიტეტის გამოცდების ჩატარების წესი
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- აკადემიური პერსონალის არჩევის წესი
- მოწვეული ლექტორების გასაუბრების ოქმები
- აკადემიური საბჭოს დებულება

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები: • სასურველია უნივერსიტეტმა განიხილოს მოწვეული პერსონალის გამონაკლისის წესის სახით სამსახურში აყვანის წესის გაუქმება.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები
○ უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას. ○ უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: რეკომენდაცია: სტუდენტების რაოდენობის გაზრდის მიზნით, „ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტმა, ბათუმმა“ უნდა შეიმუშავოს სწავლების გეგმა და სტუდენტთა მხარდაჭერის ფორმა, რითიც აჩვენებს, თუ როგორ შეძლებენ ამჟამინდელი პერსონალი, უნივერსიტეტის შენობა და კლინიკები გაზრდილი რაოდენობის დაკმაყოფილებას. წარმოდგენილი ანგარიშსა და დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, უნივერსიტეტის მიერ რეკომენდაცია შესრულებულია. სასწავლო უნივერსიტეტის მიერ განხორციელდა მისი ადამიანური, სასწავლო, ადმინისტრაციული მატერიალური და კლინიკური რესურსების გეგმური ზრდა, სტუდენტთა ახალი ნაკადის მხარდაჭერის და სწავლებისა და საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველსაყოფად. ადამიანური რესურსი**:** საანგარიშო პერიოდში ადამიანური რესურსების სასწავლო ნაწილში სასწავლო უნივერსიტეტს დაემატა 56 ლექტორი, ასევე სასწავლო უნივერსიტეტს აქვს დამატებითი რესურსი 30 ლექტორის მოცულობით რეზერვში. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული უზრუნველყოფის ნაწილში ბაუს დაემატა 5 პერსონალი 1 საგამოცდო ცენტრის სპეციალისტი, 1 ლაბორატორიის მენეჯერი, 1 მარკეტინგის სპეცილისტი და 2 სტუდენტთა მომსახურების და კარიერული მხარდაჭერის სამსახურის სპეციალისტი. აქედან გამომდინარე, სასწავლო უნივერსიტეტს ამჟამად ჰყავს: • 22 აკადემიური პერსონალი, • 158 მოწვეული ლექტორი • 30 ლექტორი რეზერვში • 25 ადმინისტრაციული პერსონალი • 4 დამხმარე პერსონალი თუმცა სასურველია სამომავლოდ აკადემიური პერსონალის გაზრდა მდგრადობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

კლინიკური რესურსი**:**

მედიცინის პროგრამის მზარდი სტუდენტების რაოდენობის დასაკმაყოფილებლად სასწავლო უნივერსიტეტმა გააფორმა ხელშეკრულება ორ კლინიკასთან, კერძოდ "საოჯახო მედიცინის რეგიონალური ცენტრთან" და „დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრთან". სტომატოლოგიის მიმარეთულებით ხელშეკრულება დაიდო კლინიკა „ოქსერთან", შპს "სტომატოლოგიურ კლინიკა ზეპელინთან" და შპს "მრჩეველთან";

შედეგად სრული მემორანდუმების რაოდენობა შეადგენს 22-ს მედიცინის მიმართულებით და 4-ს სტომატოლოგიის მიმართულებით.

ასევე ხორციელდება არსებული ხელშეკრულებების განახლება მედიცინის დარგობრივ მახასიათებლეში ცვლილებების შესაბამისად და ყოველ ახალ ხელშეკრულებაში დანართის სახით დაემატა შემდეგი ინფორმაცია: დეპარტამენტის/განყოფილების/მიმართულების დასახელება; პაციენტთა საშუალო რაოდენობა თვეში; სტუდენტთა მაქსიმალურად დაშვებადი რაოდენობა ჯგუფში; ჯგუფის მაქსიმალური რაოდენობა სემესტრულად; კლინიკის მხრიდან კლინიკური პრაქტიკის განმახოციელებელი პასუხისმგებელი პირის სახელი და გვარი. არსებული ინფორმაცია სასწავლო უნივერსიტეტს მისცემს მისცემს საშუალებას განსაზღვროს რამდენად შეძლებს კლინიკა სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობის მომსახურებას.

ახლად გაფორმებული მემორანდუმებით სასწავლო უნივერსიტეტს დაემატა კლინიკური რესურსი თვეში 13100 პაციენტის რაოდენობით, რაც აკადემიური წლის (10 თვე) განმავლობაში შეადგენს 131,000 პაციენტს, რაც ფარავს სასწავლო უნივერსიტეტის ყველა სტუდენტის კლინიკური პრაქტიკის საჭიროებებს, მათ შორის, ახალი დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების გათვალისწინებით.

მატერიალური რესურსი**:**

საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტმა შეძლო სტუდენტების რაოდენობის გაზრდამდე უნივერსიტეტის შენობის ადაპტირება ავტირიზაციით მინიჭებული ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, კერძოდ: შენობაში არსებულ 6 საკლასო ოთახს, რომლის საერთო ტევადობა არის 260 სტუდენტი (I - 40 სტუდენტი; II – 40 სტუდენტი; III - 40 სტუდენტი; IV - 80 სტუდენტი; V – 30 სტუდენტი; VI – 30 სტუდენტი) დაემატა მესამე სართულზე არსებული 120 კვ.მ ფართობის ორი დამხარე ფართი, რომელიც იძლევა შესაძლებლობას განთავსდეს 70 სტუდენტი (I – 40 სტუდენტი; II- 30 სტუდენტი;). ასევე, სალექციო მეცადინეობებისათვის საჭირო ინვენტარით მოეწყო შენობაში განთავსებული PBL-CBL საკლასო ოთახი, რომლის ტევადობა შეადგენს 60 სტუდენტს (აღნიშნული საკლასო ოთახი PBL მეცადინეობებისათვის გამოიყენება პირველ და მეორე კურსზე ორ კვირაში ერთხელ, დანარჩენ დღეებში საკლასო ოთახი თავისუფალია, რაც იძლება მისი სხვა სალექციო კურსების წარსამართად გამოყენებისათვის) და საკონფერენციო დარბაზი, რომლის ტევადობა შეადგენს 100 სტუდენტს. მხოლოდ სალექციო კურსის მოსასმენად უნივერსტიტის შენობაში შესაძლებელია ერთდროულად 490 სტუდენტის განთავსება.

გარდა თეორიული სწავლებისა, ლაბორატორიებში პრაქტიკული სასწავლო კომპონენტის შესასწავლად შესაძლებელია 80 სტუდენტის განთავსება, კერძოდ:

- მიკრობიოლოგიის და იმუნოლოგიის ლაბორატორია - 10 სტუდენტი;
- ფარმაკოგენეტიკის ლაბორატორია - 5 სტუდენტი;
- ციტოლოგიისა და ჰისტოლოგიის ლაბორატორია - 10 სტუდენტი;
- ბიოქიმიისა და მოლეკულური გენეტიკის ლაბორატორია - 10 სტუდენტი;
- OSCE-ის ცენტრი და ანატომიური კვეთის ლაბორატორია - 15 სტუდენტი;

- სტომატოლოგიური საფანტომო კლასი - 30 სტუდენტი;

შესაბამისად სასწავლო უნივერსიტეტის შენობა ადაპტირებულია მიიღოს 570 სტუდენტი. აღნიშნულ რაოდენობაში არ ითვლება დამამთავრებელი კურსის სტუდენტები, რომლებიც სწავლების ძირითად დროს ატარებენ კლინიკურ როტაციებში.

სასწავლო უნივერსიტეტის შენობაში მოეწყო დამატებითი სივრცე სამკითხველო დარბაზისთვის 15 ახალი პერსონალური კომპიუტერით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- მოწვეული ლექტორების ხელშეკრულებები;
- ადმინისტრაციის ახალი თანამშრომლების ხელშეკრულებები
- მემორანდუმი კლინიკებთან
- კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვის დოკუმენტაცია
- შენობის ნახაზები.

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

- სასურველია სამომავლოდ აფილირებული აკადემიური პერსონალის გაზრდა მდგრადობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

- უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.
- უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.
- უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს როგორ იქნა გათვალისწინებული უნივერსიტეტის მიერ ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები; ანალიზში ასევე უნდა აისახოს რჩება თუ არა პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).

რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს როგორ იქნა გათვალისწინებული უნივერსიტეტის მიერ ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები; ანალიზში ასევე უნდა აისახოს რჩება თუ არა პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
○ პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. ○ ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს როგორ იქნა გათვალისწინებული უნივერსიტეტის მიერ ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები; ანალიზში ასევე უნდა აისახოს რჩება თუ არა პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.3 სწავლის შედეგების შეფასება
უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: რეკომენდაცია: უნდა განხორციელდეს სტუდენტების პროგრესირებისა და შენარჩუნების მართვის, მხარდაჭერისა და მონიტორინგის პროცესი, რათა შემცირდეს შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობა. წარმოდგენილი ანგარიშსა და დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, უნივერსიტეტის მიერ რეკომენდაცია შესრულებულია. სასწავლო უნივერსიტეტში 2015 წლიდან დღემდე ჩარიცხულია 245 სტუდენტი, ამათგან სტატუსი შეიჩერა 127 სტუდენტმა. დღეისათვის სტუდენტთა საერთო რაოდენობა შეადგენს 118-ს, ხოლო სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა წილი ჩარიცხულ სტუდენტთა საერთო რაოდენობის 58% შეადგენს. აღნიშნული საკითხის შესასწავლად, სტუდენტთა მომსახურებისა და კარიერული მხარდაჭერის სამსახურის უფროსისა და პროგრამის ხელმძღვანელის მიერ განხორციელდა სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა სტატუსის შეჩერების მიზეზების კვლევა. კვლევამ გამოავლინა სტატუსის შეჩერების 3 ძირითადი მიზეზი: • სავიზო რეგულაციები • ფინანსური დავალიანება • პროგრამის სირთულე პირველი მიზეზის საფუძველად დასახელდა ქვეყანაში არსებული სავიზო/საიმიგრაციო პოლიტიკა, აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად, უნივერსიტეტი აღარ განიხილავს იმ აპლიკანტთა განაცხადებს ჩარიცხვასთან დაკავშირებით, რომლებსაც ქვეყანაში ლეგალურად ყოფნის პრობლემა ექმნებათ. სტატუსის შეჩერების მეორე მიზეზად სახელდება სტუდენტთა ფინანსური დავალიანება. სასწავლო უნივერსიტეტმა გაითვალისწინა სტუდენტთა სოციალურ-ეკონომიკური პირობები და ინდივიდუალური თხოვნის შედეგად სტუდენტების მიერ სწავლის საფასურის დაფარვა მოხდება ორმხრივი შეთანხმების შედეგად დადგენილ პერიოდში. სტატუსის შეჩერების მესამე მიზეზად დასახელდა პროგრამის სირთულე. პროგრამის ხელმძღვანელის მიერ მოხდა შეფასების სისტემის გადახედვა; ასევე სტუდენტებისათვის შეთავაზებული იქნა დამატებითი კონსულტაციები აკადემიური მოსწრების ამაღლების მიზნით. მომავალი საწავლო წლიდან დამატებითი ინგლისური ენა გახდება სავალდებულო არჩევითი იმ სტუდენტთათვის, ვისაც გაუჭირდება პროგრამის ათვისება ენის ცუდად ფლობის გამო.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა სტატუსის შეჩერების მიზეზების კვლევა • მოხსენებითი ბარათი სტატუსშეჩერებული სტუდენტების რაოდენობის გაუმჯობესების ღონისძიებებზე
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა
○ უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას. ○ უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: რეკომენდაცია: ექსპერტთა ჯგუფი იძლევა რეკომენდაციას, რომ „ბაუმ“ შეადგინოს გეგმა, რომელშიც განსაზღვრული იქნება პერსონალის ყოფნა შენობაში პანდემიის შემდეგ. ამით უზრუნველყოფილი იქნება აკადემიური პერსონალის საკმარისი რაოდენობა სტუდენტებისთვის სწავლებისა და სწავლის პროცესის ჩასატარებლად. როგორც წარმოდგენილი ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტაციიდან ჩანს, უნივერსიტეტის მიერ რეკომენდაცია შესრულებულია. უნივერსისტეი მიერ წარმოდგენილია განახლებული აკადემიური პერსონალის დატვირთვის წესი, სადაც პროცენტულად და საათობრივად კატეგორიების მიხედვით განსაზღვრულია აკადემიური პერსონალის საკონტაქტო, არასაკონტაქტო/არასააუდიტორიო (სამეცნიერო, ადმინისტრაციული და სხვა სამუშაოსთვის) და ოფისის საათები (საკონსულტაციო). აკადემიური პერსონალი დაყოფილია კატეგორიების მიხედვით და თითოეული კატეგორიისთვის განსაზღვრულია შესაბამისი საკონტაქტო/არასაუდიტორიო/ოფისის საათები. კერძოდ: კატეგორია **A** - 70%/20%/10%; კატეგორია B - 70%/20%/0%; კატეგორია C -70%/0%/0%; კატეგორია D - - ე. წ. მკვლევარი-პროფესორი - საკონტაქტო 25%/75% (350 საათი) და ოფისის საათები -0%; კატეგორია **E** - შტატის გარეშე საათობრივი ანაზღაურებით და არასრული დატვირთვით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ აკადემიური პერსონალი 3 კატეგორიისთვის განსაზღვრულია 70% საკონტაქტო დატვირთვა, რაც გულისხმობს უნივერსიტეტში მათ ყოფნას ლექცია/სემინარებზე.

ამდენად რეკომენდაცია შესრულებულია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • ანგარიში • აკადემიური პერსონალის არჩევის წესი; • აკადემიური, მოწვეული, მკვლევერა-პროფესორების ხელშეკრულების ნიმუშები
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა
უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზშთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები
○ უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები. ○ უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: რეკომენდაცია: მიზანშეწონილია უსდ-მ განახორციელოს შემდგომი გამოკვლევა იმის უზრუნველსაყოფად, რომ უნივერსიტეტი აკეთებდეს ყველაფერს იმისთვის, რომ დაეხმაროს და მკაფიო ხედვა ჩამოაყალიბოს ამ რიცხვის შესამცირებლად. როგორც ანგარიშიდან და თანდართული დოკუმენტაციიდან იკვეთება რეკომენდაციის შესაბამისად უნივერსიტეტმა მოახდინა იმ მიზეზების კვლევა, რის გამოც მაღალია სტატუსშეცრებული სტუდენტების რაოდენობა. ასევე დაიწყო მუშაობა მიზეზების აღმოსაფვრელად. კერძოდ, ჩატარდა სტატისტიკური კვლევა და მომზადდა მოხსენებითი ბარათია, რომლის თანახმადაც: „სასწავლო უნივერსიტეტში 2015 წლიდან დღემდე ჩარიცხულია 245 სტუდენტი, ამათგან სტატუსი შეიჩერა 127 სტუდენტმა. დღეისათვის სტუდენტთა საერთო რაოდენობა შეადგენს 118-ს“. ჩატარებულ კვლევასა და მოსხენებითი ბარათზე დაყრდნობით სტატუსის შეჩერების 3 ძირითადი მიზეზი გამოვლინდა: • სავიზო რეგულაციები • ფინანსური დავალიანება • პროგრამის სირთულე გამოვლენილი მიზეზების აღმოსაფხვრელად უსდ-ს მიერ განხორციელდა გარკვეული ცვლილებები: კერძოდ: • „უნივერსიტეტი აღარ განიხილავს იმ ქვეყნის მოქალაქე აპლიკანტთა განაცხადებს ჩარიცხვასთან დაკავშირებით, რომლებსაც ქვეყანაში ლეგალურად ყოფნის პრობლემა ექმნებათ“; • უსდ მისერ გათვალისწინებული იქნება სტუდენტთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ინდივიდუალური მომართვის საფუძველზე სწავლის საფასურის დაფარვა მოხდება სტუდენტთან შეთანხმების შედეგად გაწერილი გრაფიკის მიხედვით;

- პროგრამის ხელმძღვანელისა და აკადემიური პერსონალის მიერ მოხდა შეფასების სისტემის გადახედვა, გარდა ამისა, სტუდენტებისათვის შეთავაზებული იქნა დამატებითი კონსულტაციები აკადემიური მოსწრების ამაღლების მიზნით და ინგლისური ენის სავალდებულო არჩევით საგნად დამატება.

ამდენად, რეკომენდაცია შესრულებულია

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა სტატუსის შეჩერების მიზეზების კვლევა
- მოხსენებითი ბარათი სტატუსშეჩერებული სტუდენტების რაოდენობის გაუმჯობესების ღონისძიებებზე

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება.
- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას.
- უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

რეკომენდაციები:

5.2.1 უნივერსიტეტმა უნდა განიხილოს სტუდენტთა მომსახურების სამსახურის პერსონალის გაზრდა სტუდენტების რაოდენობის ზრდასთან შესაბამისად.

რეკომენდაცია შესრულებულია. უსდ-მ გაითვალისწინა რეკომენდაცია და სტუდენტთა მომსახურების და კარიერული მხარდაჭერის სამსახურში დამატებით მიიღო 2 სპეციალისტი. გარდა ამისა, უნივერსიტეტმა საანგარიშო პერიოდში დაამატა სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულში 3 პერსონალი: კერძოდ: საგამოცდო ცენტრის სპეციალისტი - 1, ლაბორატორიის მენეჯერი - 1, მარკეტინგის სპეცილისტი - 1.

5.2.2 უნივერსიტეტმა უნდა განამტკიცოს და გაზარდოს საერთაშორისო კავშირები. მან უნდა შექმნას სტუდენტთა საერთაშორისო მობილობისა და პროექტებსა და კონფერენციებში მონაწილეობის მეტი შესაძლებლობა უნივერსიტეტის გარეთ.

შესრულებულია. ანგარიშიდან და თანდართული დოკუმენტაციიდან, ასევე უნივერსიტეტის ვებსატიდან ნათლად ჩანს, რომ უნივერსიტეტმა საანგარიშო პერიოდში გამართა მოლაპარაკებები სხვადასხვა უნივერსიტეტებთან, მოამზადა და წარადგინა ამ უნივერსიტეტებთან ერთად პროექტები (აღმოსავლეთ ფინეთის, შვედეთის კაროლინსკას სამედიცინო უნივერსიტეტი, პოლონეთის რჟეშოვის უნივერსიტეტი, გერმანიის ჰალეს უნივერსიტეტი, თესალონიკის არისტოტელეს უნივერსიტეტი, იტალიის აღმოსავლეთ პიემონტის უნივერსიტეტი, ზენიკას უნივერსიტეტი (ბოსნია და ჰერცოგოვინა), გერმანიის ქალაქ ბონის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი), რომელიც დაფინანსების შემთხვევაში ითვალისწინებს სტუდენტებისა და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის როგორც ვიზიტს, ასევე ერთობლივ მუშაობას სამეცნიერო კუთხით.

გარდა ამისა, უნივერსიტეტის მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ლექციები და ლაბორატორიული მასტერკლასები სტუდენტებისათვის საერთაშორისო პარტნიორი უნივერსიტეტების პროფესორების მიერ. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ არა მარტო ბაუ-ს სტუდენტების ვიზიტი იგეგემება საზღვარგარეთ, არამედ პროცესი ორმხრივია და 2022 წელს ბაუ უმასპინძლებს დოქტორანტს, რომელიც გაივლის მოკლევადიან სტაჟირებას უნივერსიტეტში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ანგარიში
- სტუდენტთა მომსახურების და კარიერული მხარდაჭერის სამსახურის სპეციალისტთა ხელშეკრულებები
- სამუშაო დატვირთვის ფორმები
- მემორანდუმები საერთაშორისო პარტნიორებთან
- ERASMUS+ პროექტის ინფორმაცია
- საერთაშორისო ურთიერთობებისა და მარკეტინგის დეპარტამენტის თანამშრომელთა ხელშეკრულებები

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა
○ უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას. ○ სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა. ○ უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: რეკომენდაციები: 6.1.1 საჭიროა შემუშავდეს კვლევის სტრატეგია, რომლის ფარგლებშიც განსაზღვრული იქნება მკაფიო, რეალისტური გეგმები და რესურსები; რეკომენდაცია გაზიარებულია და შესრულებულია. უნივერსიტეტის მიერ მოხდა არსებული მარეგულირებელი დოკუმენტის „სამეცნიერო კვლევების განვითარების სტრატეგია“ განახლება, სადაც დეტალურად გაიწერა 2020-2022 წლების სამეცნიერო საქმიანობის ძირითადი პრიორიტეტები; სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მიზნები და ამოცანები, რომელიც მოიცავს როგორც კვლევების ორგანიზაციულ უზრუნველყოფას და პერსონალის კვლევის მხარდაჭერის მექანიზმებს, ასევე კვლევითი აქტივობების შედეგების საერთაშორისო თუ ადგილობრივ დონეზე წარმოჩენას (კონფერენციებში მონაწილეობა, სტატიის გამოქვეყნება და სხვა) და დაფარვის არეალის გაზრდას. როგორც დოკუმენტიდან ჩანს, უნივერსიტეტის კვლევითი პრიორიტეტებია: „ორსულებში იმუნოსენსიბილიზაციური კვლევები და ახალშობილებში ჯგუფური ანტიგენებისა და ანტისხეულების ექსპრესიის საკითხები, ეპილეფსიის პერვალენტობის დადგენა აჭარის რეგიონში, სივრცითი მეხსიერების ფორმირების საკითხები, აუტოფაგური მოლეკულური მარკერების კვლევა სხვადასხვა დაავადებებისას (დიაბეტი, ქოლეცისტიტი, სხვა ენდოკრინული დარღვევები, ფარმაკოგენეტიკური მიმართულებით- P450-ის (CYPs) გენეტიკური პოლიმორფიზმის შესწავლა, პოსტკოვიდ და ვაქცინირებულ პაციენტებში anti-SARS Cov 2 ანტისხეულების და ტიტრის დადგენა“. უნდა აღინიშნოს, რომ პრიორიტეტები არ არაის განზოგადოებული და სრულად მორგებულია აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევით პოტენციალზე. წარმოდგენილი დოკუმენტი ასევე მოიცავს სამოქმედო დეტალურ გეგმას, კერძოდ თითოეული ამოცანის განხორციელებისთვის საჭირო დროს, განმახორციელებელ და პასუხისმგებელ პირებს. 6.1.2 საჭიროა ბაუს უნივერსიტეტის თანამშრომელთა კვლევითი პროფილის გაზრდა; რეკომენდაცია შესრულებულია. უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის შედეგად საანგარიშო პერიოდში 2021-2022 სასწავლო წლის განმავლობაში ბაუს აკადემიური პერსონალის მიერ გამოქვეყნებული იქნა 11 სამეცნიერო პუბლიკაცია და პერსონალმა მონაწილეობა მიიღო 2 საერთაშორისო კონფერენციაში. გარდა ამისა, 2022 წლის განავლობაში ბაუს მახრადჭერით მომზადდა და წარდგენილი იქნა 2 სამეცნიერო-კვლევითი პროექტი: „კალციუმის რეცეპტორები როგორც ეპილეფსიის რისკ ფაქტორი: ფოკუსირება გენეტიკასა და ნეირონული აგზნებადობის რეგულირებაზე“; და “ფიტოპრეპარატები, როგორც

ხანდაზმულობის ფაქტორი საქართველოში: ენდემური საკვები მცენარეებიდან მიღებული პოლიფენოლების კარდიოპროტექტორული და ჰეპატოპროტექტორული ეფექტის მრავალმხრივი შეფასება“.

6.1.3 შეიმუშავეთ ინტენსიური კვლევითი პერსონალის ბაუში მოზიდვის მკაფიო გეგმა;
შესრულებულია

როგორც ვებსაიტი და თანდართული დოკუმენტაცია გვიჩვენებს სასწავლო უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობს კვლევითი პერსონალის რაოდენობის გაზრდის მიმართულებით, რაც ასახულია „სამეცნიერო კვლევების განვითარების სტრატეგია“-ში თუმცა, გეგმის სახით გაწერილი არ არის. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ამ სტრატეგიაში გაწერილია სტრატეგიის მიზანი და ამოცანები, სამოქმედო გეგმა. ერთ-ერთი მიზანი სწორედ კვლევითი პოტენციალის გაზრდაა. გარდა ამისა თითოეული ამოცანა, რომელიც დასახულია ითვალისწინებს კვლევითი პერსონალის რაოდენობის გაზრდას და მოზიდვას. უნივერსიტეტის მიერ აკადემიური პერსონალის არჩევის წესში გარდა აკადემიური პერსონალისა განსაზღვრულია „მკვლევარი აკადემიური პერსონალის“ პოზიცია, რომლის ძირითად საქმიანობას განსაზრვრულია სამეცნიერო მუშაობა (სამეცნიერო გრანტების მოზიდვა და განხორციელება, სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომების ხელმძღვანელობა, კვლევითი საქმიანობის განვითარება უნივერსიტეტში და სხვა). სამეცნიერო-კვლევითი საქმინობის განხორციელებაში უნივერსიტეტი აქტიურად ეხმარება და უზრუნველყოფს მინიმუმ 1 სამეცნიერო, 1 სტუდენტური, ასევე 1 საერთაშორისო სიმპოზიუმისა და 1 საზაფხულო სკოლის ჩატარებას.

6.1.4 გაზარდეთ ბაუს უნივერსიტეტის კვლევითი ლაბორატორიის საქმიანობა და ობიექტები. შესრულებულია

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშიდან ჩანს, რომ უნივერსიტეტს გააჩნია 7 სასწავლო-კვლევითი ლაბორატორია (მიკრობიოლოგიისა და იმუნოლოგიის, ფარმაკო-გენეტიკის, ციტოლოგიისა და ჰისტოლოგიის, ბიოქიმიისა და მოლეკულური გენეტიკის), რომელიც აღჭურვილია შესაბამისი თანამედროვე აპარატურით. ასე მაგალითად: „16 ერთეული მიკროსკოპი, მაღალ-ოპტიკური 5W LED ილუმინირებადი „Leica DM IL LED“ მიკროსკოპი, Humareader HS-ის სპექტროფოტომეტრი; ბიოუსაფრთხოების BSC B2 კაბინეტი, Memmert-ის ბრენდის IN55 ინკუბატორი, ნჯღრევის ფუნქციის მქონე თერმოსტატი; მშრალი სტერილიზაციის აპარატი ე. წ. მაგნიტური ღუმელით; CO2 ინკუბატორით MED240, ბიოუსაფრთხოების კაბინა BSC B2, ულტრაცენტრიფუგა NF800 4100 ბრუნით, მაცივარით (-90 ნიმუშების შესანახად), მიკროპიპეტები და სხვა ბიოსამედიცინო კვლევისთვის საჭირო დამხმარე მოწყობილობა. რეკომენდაციის შემდეგ მოხდა გააქტიურება სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა ლბორატორიებში და დასრულდა 2 პროექტი სტუდენტების ჩართულობით. გარდა ამისა მიმდინარეობს აქტიური მუშაობ 6 პროექტზე, რომელთა სათაურები, ხელმძღვანელები და ჩართული სტუდენტებიც მითითებულია ნაგარიშში. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად ხორციელდება ასევე ერთობლივი პროექტი ბაუ-ს ლაბორატორიული ბაზის გამოყენებით. ამდენად, რეკომენდაცია შესრულებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ანგარიში;
- სამეცნიერო კვლევის განვითარების სტრატეგია 2020-2022
- აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის ანგარიშები
- აკადემიური პერსონალის არჩევის წესი
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესი

- მკვლევარი აკადემიური პერსონალის ხელშეკრულებების ნიმუშები
- ვებსაიტი

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

სასურველია ბაუში პერსონალის მოზიდვის გეგმა გაწერილი იყოს ცალკე დოკუმენტად

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

- უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა.
- ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში.
- უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

რეკომენდაციები:

6.2.1 „ბაუმ“ უნდა დაასაქმოს პირები, რომლებსაც აქვთ საჭირო კვლევითი გამოცდილება და ცოდნა უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის წარმართვისთვის.

ანგარიშიდან და თანდართული დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ სასწავლო უნივერსიტეტს აქვს გაწერილი აკადემიური პერსონალის შერჩევის კრიტერიუმები, რომელიც განსაზღვრავს მინიმალურ მოთხოვნებს პროფესორის/ასოცირებული პროფესორის არჩევისას კონკურსის წესით. კერძოდ: ბაუ-ს მიერ „პროფესორისა და ასოცირებული პროფესორის მიმართ აკადემიურ თანამდებობაზე არჩევისას სავალდებულო კრიტერიუმად მოთხოვნილია „სამეცნიერო პროდუქტიულობის მაჩვენებლის (ჰირშის ინდექსის) ქონა, რომელიც, Google Scholar საძიებო სისტემის მონაცემებით უნდა იყოს არანაკლებ 3 და 2 (პროფესორისა და ასოცირებული პროფესორის თანამდებობების შესაბამისად)“. გარდა ამისა სასწავლო უნივერსიტეტს გამოყოფილი აქვს ცალკე კატეგორიად „მკვლევარი - აკადემიური პერსონალი“, რომლის ძირითად საქმიანობას სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა (სამეცნიერო გრანტების მოზიდვა და განხორციელება, სტუდენტთა ხელმძღვანელობა, კვლევითი საქმიანობის განვითარება უნივერსიტეტში და სხვა) წარმოადგენს. სასწავლო უნივერსიტეტის ანგარიშის მიხევით ამ ეტაპზე უნივერსიტეტში 3 მკვლევარი აკადემიური პერსონალი მუშაობს.
უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ცალკე გამოყოფილი „მკვლევარი - აკადემიური პერსონალის“ თანამდებობისა, სხვა აკადემიური პერსონალისთვისაც მოთხოვნილია მინიმალური კვლევითი საქმიანობა და განსაზღვრულია კვლევის პროდუქტიულობის მაჩვენებლები. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო უნივერსიტეტი რეკომენდაციას ასრულებს და ასაქმებს კვლევითი პოტენციალის მქონე პირებს.

6.2.2 საჭიროა პრიორიტეტული იყოს პერსონალის განვითარება და კვლევის მხარდაჭერა.

შესრულებულია. სასწავლო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული და განახლებულია სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის სტრატეგია, რომელშიც გაწერილია სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმის მიხედვით კვლევის პროდუქტიულობის ინდიკატორების ერთ-ერთი მაჩვენებელია პერსონალის კვლევითი პოტენციალის გაძლიერება, რაც მოიცავს ტრენინგების ჩატარებას კვლევითი უნარების მიმართულებით. საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია 3 ტრენინგი: სამეცნიერო გრანტის წერა; ბიოსტატისტიკა; სტატიის წერა და გამოქვეყნება. გარდა ამისა, სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევის დაფინანსება, რომელიც მოიცავს „სასწავლო უნივერსიტეტის შიდა საგრანტო დაფინანსებას; სასწავლო უნივერსიტეტის სხვა კვლევითი აქტივობების (სამეცნიერო ღონისძიება, კონფერენცია, მონოგრაფიის გამოქვეყნება) დაფინანსებას“.

6.2.3 საჭიროა მკაფიოდ განისაზღვროს ახალი, აქტიური კვლევითი პერსონალის „ბაუში“ მოზიდვის სპეციალური მექანიზმები და შესრულდეს ამის განხორციელებისა და შეფასების გეგმა.

შესრულებულია. როგორც ვებსაიტი და თანდართული დოკუმენტაცია გვიჩვენებს სასწავლო უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობს კვლევითი პერსონალის რაოდენობის გაზრდის მიმართულებით, რაც ასახულია „სამეცნიერო კვლევების განვითარების სტრატეგია“-ში თუმცა, გეგმის სახით გაწერილი არ არის. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ამ სტრატეგიაში გაწერილია სტრატეგიის მიზანი და ამოცანები, სამოქმედო გეგმა. დოკუმენტში წარმოდგენილი ერთ-ერთი მიზანი სწორედ კვლევითი პოტენციალის გაზრდაა. სწორედ ამ მიმართულების გასაძლიერებლად, სასწავლო უნივერსიტეტის მიერ შემოტანილია „მკვლევარი აკადემიური პერსონალის“ პოზიცია, რომლის ძირითად საქმიანობა მოიცავს სამეცნიერო მუშაობას (სამეცნიერო გრანტების მოზიდვა და განხორციელება, სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომების ხელმძღვანელობა, კვლევითი საქმიანობის განვითარება უნივერსიტეტში და სხვა). გარდა ამისა, სასწავლო უნივერსიტეტი სთავაზობს სამეცნიერო-კვლევითი საქმინობის განხორციელებაში ფინანსურ უზრუნველყოფას მინიმუმ ერთი სამეცნიერო და 1 სტუდენტური ასევე 1 საერთაშორისო სიმპოზიუმისა და 1 საზაფხულო სკოლის ჩასატარებლად, რაც მიმზიდველი შეიძლება იყოს მკვლევარებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბიოსტატისტიკის ტრენინგის შესახებ ინფორმაცია https://bauinternational.edu.ge/ge/news/469
- ანგარიში;
- სამეცნიერო კვლევის განვითარების სტრატეგია 2020-2022
- აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის ანგარიშები
- აკადემიური პერსონალის არჩევის წესი
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესი
- მკვლევარი აკადემიური პერსონალის ხელშეკრულებების ნიმუშები
- ვებსაიტი

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება
უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: რეკომენდაცია: „ბაუს“ უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშავოს უფრო მკაფიო და მიზანმიმართული ძირითადი შესრულების ინდიკატორები (KPI), კვლევისა და შესაძლებლობების ზრდის მონიტორინგის მიზნით. ანგარიშიდან და თანდართული დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ რეკომენდაცია შესრულებულია, უნივერსიტეტის მიერ კვლევითი მუშაობის შესრულების ინდიკატორების (KPI) დაემატა „კვლევის განვითარების სტრატეგიაში“ და დეტალურად გაიწერა. კერძოდ სტრატეგიაში განახლდა „კვლევის პროდუქტიულობის ინდიკატორები“ და ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციის შესაბამისად გამოიყო 3 მთავარი აქტივობა: 1.„კვლევაში პერსონალის ჩართულობა; 2. „გარე პარტნიორებთან ერთად კვლევის განხორციელება“ და 3. პერსონალის კვლევითი პოტენციალის განვითარება. რომელიც ჩაიშალა ქვეაქტივობებად, თითოეული აქტივობისთვის გაიწერა სამიზნე ნიშნული და შესაბამისი ინდიკატორი. ასე მაგალითად აქტივობა პერსონალის კვლევითი პოტენციალის განვითარება, დაიყო 2 ნაწილად: 1. ტრენინგი კვლევითი უნარების განვითარების მიმართულებით და 2. პერსონალის ჰირშის ინდექსის მაჩვენებელი. თითოეული აქტივობისთვის გაწერილია შესაბამისი სამიზნე ნიშნული და ინდიკატორი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • სამეცნიერო კვლევების განვითარების სტრატეგია 2020-2022 • აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესი • ანგარიში
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1 მატერიალური რესურსი
○ უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას. ○ დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა. ○ დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. ○ დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: რეკომენდაცია: სტუდენტების რაოდენობის გაზრდამდე, საჭიროა განისაზღვროს გეგმა იმის შესახებ, თუ როგორ მოხდება უნივერსიტეტის შენობის ადაპტირება. საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტმა შეძლო სტუდენტების რაოდენობის გაზრდამდე უნივერსიტეტის შენობის ადაპტირება ავტორიზაციით მინიჭებული ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, კერძოდ: შენობაში არსებულ 6 საკლასო ოთახს, რომლის საერთო ტევადობა არის 260 სტუდენტი (I - 40 სტუდენტი; II – 40 სტუდენტი; III - 40 სტუდენტი; IV - 80 სტუდენტი; V – 30 სტუდენტი; VI – 30 სტუდენტი) დაემატა მესამე სართულზე არსებული 120 კვ.მ ფართობის ორი დამხარე ფართი, რომელიც იძლევა შესაძლებლობას განთავსდეს 70 სტუდენტი (I – 40 სტუდენტი; II-30 სტუდენტი;). ასევე, სალექციო მეცადინეობებისათვის საჭირო ინვენტარით მოეწყო შენობაში განთავსებული PBL-CBL საკლასო ოთახი, რომლის ტევადობა შეადგენს 60 სტუდენტს (აღნიშნული საკლასო ოთახი PBL მეცადინეობებისათვის გამოიყენება პირველ და მეორე კურსზე ორ კვირაში ერთხელ, დანარჩენ დღეებში საკლასო ოთახი თავისუფალია, რაც იძლება მისი სხვა სალექციო კურსების წარსამართად გამოყენებისათვის) და საკონფერენციო დარბაზი, რომლის ტევადობა შეადგენს 100 სტუდენტს. მხოლოდ სალექციო კურსის მოსასმენად უნივერსტიტის შენობაში შესაძლებელია ერთდროულად 490 სტუდენტის განთავსება. გარდა თეორიული სწავლებისა ლაბორატორიებში პრაქტიკული სასწავლო კომპონენტის შესასწავლად შესაძლებელია 80 სტუდენტის განთავსება, კერძოდ: – მიკრობიოლოგიის და იმუნოლოგიის ლაბორატორია - 10 სტუდენტი;

– ფარმაკოგენეტიკის ლაბორატორია - 5 სტუდენტი;
– ციტოლოგიისა და ჰისტოლოგიის ლაბორატორია - 10 სტუდენტი;
– ბიოქიმიისა და მოლეკულური გენეტიკის ლაბორატორია - 10 სტუდენტი;
– OSCE-ის ცენტრი და ანატომიური კვეთის ლაბორატორია - 15 სტუდენტი;
– სტომატოლოგიური საფანტომო კლასი - 30 სტუდენტი;

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ამჟამად უნივერსიტეტის შენობა ადაპტირებულია მიიღოს 570 სტუდენტი. აღნიშნულ რაოდენობაში არ ითვლება დამამთავრებელი კურსის სტუდენტები, რომლებიც სწავლების ძირითად დროს ატარებენ კლინიკურ როტაციებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ანგარიში;
- შენობის ნახაზები

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.2. საბიბლიოთეკო რესურსები

ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

რეკომენდაცია:

7.2.1 საჭიროა ბიბლიოთეკაში არსებული რესურსების გაზრდა სტუდენტთა რაოდენობის ზრდასთან ერთად

ანგარიშის მიხედვით და რეკომენდაციის შესაბამისად, უსდ-მ 2020-2021 სასწავლო წლისთვის ბიბლიოთეკის ფონდი გაზარდა 197 (მათ შორის 127 ერთეული ნაბეჭდი სახით) ერთეული სასწავლო ლიტერატურა და როგორც ანგარიშიდან ჩანს, ბაუს ბიბლიოთეკის ფონდი შეადგენს 936 ერთეულის მქონე ბეჭდურ წიგნს, რომელთაგან მედიცინის მიმართულებით არის 100, ხოლო სტომატოლოგიის მიმართულებით - 97. გარდა ამისა, თანდართული დოკუმენტაციდან ირკვევა, რომ უნივერსიტეტმა დამატებით შეიძინა უკვე არსებული 36 ბეჭდური გამოცემის 558 ეგზემპლიარი. ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რეკომენდაცია შესრულებულია.

7.2.2 უნდა გაიზარდოს კომპიუტერების რაოდენობა და სტუდენტების დამოუკიდებელი სწავლის სივრცე

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი თანდართული დოკუმენტაციის წარმოდგენილია 2 ინვოისი, ერთი გაცემულია 41 ცალი კომპიუტერის შესყიდვაზე, მეორე 15-ის. თუმცა ანგარიშში მითითებულია, რომ სასწავლო უნივერსიტეტმა ბიბლიოთეკისა და სტუდენტთა დამოუკიდებელ მუშაობასთან დაკავშირებით კომპიუტერული რესურსები გაზარდა მხოლოდ 15 ერთეულით. ბაუს ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ შეძენი კომპიუტერები განთავსდა დამატებით სამკითხველო დარბაზში, რომელიც გაკეთდა ბიბლიოთეკის გვერდით და ერთდროულად 30 სტუდენტზეა გათვლილი. გარდა ამისა, ანგარიშიდან ვგებულობთ, რომ „მოწყობილ იქნა დამატებითი სარეკრეაციო სივრცეები სასწავლო უნივერსიტეტის კამპუსის გარე პერიმეტრზე და დაგეგმილია მრავალფუნქციური სპორტული მოედნის მოწყობა სასწავლო უნივერსიტეტის ეზოში“. მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასვნათ, რომ რეკომენდაცია შესრულებულია
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • საბიბლიოთეკო რესურსის შესყიდვის დოკუმენტაცია • ანგარიში; • კომპიუტერული რესურსის შესყიდვის დოკუმენტაცია
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
7.3 საინფორმაციო რესურსი
○ უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა. ○ ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები. ○ უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზშთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
7.4 ფინანსური რესურსი
○ უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია. ○ უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას. ○ უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე. ○ უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება. ○ უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზშთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

დანართი №1: უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი

№	პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)	ECTS	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული)	შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი
1	მედიცინა	ინგლისური	დიპლომირებული მედიკოსი	360	აკრედიტებული	27.03.2020, გადაწყვეტილება #58
2	სტომატოლოგია	ინგლისური	დიპლომირებული სტომატოლოგი	300	აკრედიტებული	15.02.2022 სხდომის ოქმი